№ 242 ნოემბერი 14, შაბათი — 1892 — ნოემბერი 14, შაბათი № 242

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის ... დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ ... ათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ... ... იაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი ... პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ... ... წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა... ...ის კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბან-კის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი ქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 ნოემ.

ქართული თეატრი

შაბათს, 14 ნოემბერს,

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესები:

I

სტუმარი

დრამა 2 მოქმ. ედუარდ ბრანდესისა, თარგ. მ—ნისა.

II

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე!

კომ. ხუმრობა 3 მოქ. გადმოკ. *** საგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მძინაროვისა, ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, და სხ.

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

ამ ცოტა ხანში დანიშნულია ბენეფისი არტისტის ვ. ა. აბაშიძისა.

ადმინისტრატორი გალ. გუნია.

დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—14)

მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—4)

## ახალი ამბავი

*** 13 ნოემბერს ქალაქის გამგეობას უნდა ამოერჩია ორი სტიპენდიატი ქალი მეორე ღედათა გიმნაზიაში. ამ ქალებს ქალაქი თითონ აძლევს სწავლის ხარჯსა. სტიპენდია ერგოთ კენჭის ყრით მესამე კლასის მოწაფეს ოლგა ხიტუნს და მეორე კლასისას—ელენე ქანანაშვილისას.

*** 13 ნოემბერსვე ქალაქის გამგეობის დარბაზში ვაჭრობა იყო დანიშნული იჯარით გასაცემად ნათლუხის საქალაქო საძოვარ მინდვრებისა, სივრცით ოთხას დღიურამდე. ეს ადგილი აქამდე ჰქონდა აღებული ყასაბს შაქარ მარტირუზოვს, რომელიც წელიწადში იჯარას აძლევდა ქალაქს 425 მანეთს. ეხლაც ვაჭრობა დარჩა მარტირუზოვს, რომელმაც აიღო ხუთის წლის ვადით წელიწადში ორმოც-და-ათ თუმნად.

*** ჩვენ მივიღეთ ცალკე წერილითურთ კავკავიდგან ბ-ნ სონაძეს მიერ შეკრებილი 20 მან. მაჰმადიან ქართველთათვის დასაარსებელ ფონდის სასარგებლოდ. წერილს შემდეგ დავბეჭდავთ. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 16 მან., შესდგა სულ 36 მანეთი.

*** ჩვენ მივიღეთ გუდაუთიდგან ბ-ნ ვასილ შალიბაშვილისაგან და ალექ. ჩიჩავასაგან 6 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას გარდასაცემად. ამას გარდა, მივიღეთ ელენენდორფლიდგან ქ-ნ ე. მ. წერეთლისაგან 3 მან. ზემოხსენებულისავე საგნისათვის. ამ ფულისა გვქონდა 97 მან., შესდგა სულ 106 მან.

*** მთავრობას განზრახვა აქვს, გოგირდის წუმწუმას აქციზი ერთი ორად გაჰხადოს. სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტებმა ამ საქმის შესახებ პროექტი უკვე განიხილეს და შეუცვლელად წარუდგინეს სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებას.

*** ტფილისში შაქარი თანდათან ძვირდება. ამ ორის თთვის წინად ფუთი შაქარი 5 მან. 80 კაპ. იყიდებოდა, ამ ჟამად-კი ფუთი 8 მან. და 20 კაპ. ჰღირს. საკვირველია, რომ ბათუმში შაქარი 1 მან. და 80 კაპეიკით იაფია, ვიდრე ტფილისში, და ძლიერ ბევრნი, განსაკუთრებით რკინის გზის მოხელენი, შაქარს ბათუმიდგან იბარებენ.

*** დღეს „ტფილისის საარტისტო საზოგადოების" თეატრში დანიშნულია წარმოდგენა ტფილისის საკვირაო სკოლისა და უფასო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოადგენენ გრ. ტოლსტოის პიესას „განათლების ნაყოფი" (плоды просвѣщенія), იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება ამ წარმოდგენას უყურადღებოდ არ დასტოვებს.

*** პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ქ. დერბენტის ნავთ-სადგურის გასამართავად 280,000 მანათი იქნება გადადებული.

*** კარგა ხანია ვენაში ერთი საზოგადოება დაარსდა, რომელიც დროგამოშვებით სომხურ თხზულებებსა ჰბეჭდავს. ამ საზოგადოების ყველა გამოცემას საერთო სახელი ეწოდება: „სახალხო ბიბლიოთეკა". ეხლა-ხან ამ საზოგადოებას დაუბეჭდია მეშვიდე გამოცემა „სახალხო ბიბლიოთეკისა". წიგნს სათაურად აწერია: „საზაფხულო მოგზაურობა სომხეთში". ეს წიგნი პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზდა პროფესორს მარის დაუწერია.

*** დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელმაც უნდა ამოირჩიოს საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი, ნაცვლად ბ-ნ ბახმეტიევისა.

*** ქარელი (გორის მაზრა): ჩვენს სასოფლო სკოლაში ახალი მასწავლებელი დაენიშნა. ეს მასწავლებელი აქაურივე ქალია, კნ. მ. ციციშვილის ასული. იმედი გვაქვს, ეს ახალი მასწავლებელი სულითა და გულით მიეცემა ამ კეთილს საქმეს თავის საკუთარსა და სამშობლო სოფელში, მით უფრო, რომ აქაური მემამულენი, თთ. ციციშვილნი, ყოველ გვარს შემწეობასა და დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ თანამოგვარე მასწავლებელს ქალს.

*** გუდაუთი (სოხუმის ოლქი): გადავრჩით მშვიდობით წრევანდელ ზაფხულის ვაი-ვაგლახს. ხოლერამ წელს ჩვენამდე ვერ მოაღწია და, იქნება, ღმერთმა ინებოს, ვერც მერმის მოაღწიოს. ხოლერის შიშით ფერშლებიც ნაზრუნი ჰყავს ჩვენს დაბას, რომელშიაც შარშან აფთიაქიც დაარსდა. სამწუხაროდ, ეს აფთიაქი მხოლოდ დღისით არის ღია. ამას გარდა, ხშირად დღისითაც დაკეტილია აფთიაქი, რადგან აფთიაქის პატრონი მარტოდ-მარტოა და ხან რა საქმე გაუჩნდება, ხან—რა. სასურველია, რომ ამ სასარგებლო დაწესებულების საქმე უფრო წესიერად მიდიოდეს.

*** სურამი: ორშაბათს, 9 ნოემბერს, დ. სურამში ვიღაცამ განიზრახა აქაურ მომრიგებელ-მოსამართლის ბ-ნ პენკოვის მოკვლა. ბ-ნი პენკოვი ამ დღეს მომრიგებელ-სასამართლოში მუშაობდა, საღამოს, ასე რვა საათზედ, აივანზედ გამოვიდა და კიბეზედ უნდა ჩამოსულიყო. ამ დროს გაისმა თოფის ხმა. ტყვია ბ-ნ პენკოვს ქუდში მოხვდა, სწორედ იმ ალაგას, საცა „კოკარდა" იყო მიკრული. ბოროტ-განმზრახველი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

ამ საქმის გამოსაძიებლად ტფილისიდგან სურამს გაემგზავრა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი დანილოვი.

*** სამტრედია: ამას წინად, 28 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზედ, რკინის გზის სადგურს ახლოს თავს დაეცნენ ერთს მგზავრს ნ. ნ—ძეს, რომელიც თურმე ბათუმში აპირობდა წასვლას, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი, რიცხვით სამნი, და დაუწყეს ცემა, ტყეპა, გლეჯა და ჯიბეების ჩხრეკა. ისე უცბად თურმე მოხდა ეს ამბავი, რომ მგზავრი გონს ვერ მოვიდა. ბოროტმა კაცებმა ხელი მიჰყვეს საწყალს და ის-ის იყო იქნება კიდეც მოეკლათ, რომ სადგურის ჟანდარმები არ გამოჩენილიყვნენ და იმათ არ ეშველათ. ამბობენ, რომ ის ვაჟბატონები ერთის აქაურის დაწესებულების მოხელენი იყვნენო.

*** გაზეთ „Н. О."-ს შეუტყვია, რომ ერევნის ვიცე-გუბერნატორი დ. ს. ს. ტიზენჰაუზენი ტფილისის ვიცე-გუბერნატორად იქნება დანიშნულიო. გრ. ტიზენჰაუზენს წინადაც უმსახურნია ტფილისის გუბერნიაში, ჯერ კარგა ხანს სიღნაღის მაზრის უფროსად იყო, შემდეგ ახალციხის მაზრის უფროსადვე და მხოლოდ 1890 წელს იქმნა დანიშნული ერევნის ვიცე-გუბერნატორად. გრ. ტიზენჰაუზენს სწავლა დამთავრებული აქვს დერპტის უნივერსიტეტში.

*** 13 ნოემბერს ასოთ-ამწყობად ნამყოფმა ევსეი მელვიკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, კალიუჩი ბალკაში ჩემი ცოლი სახლის აივანზედ სარეცხსა ჰფენდა, უეცრად ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდაო. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სურები** (ოზურგეთის მაზრა). ძარცვა-რბევა და ყაჩაღობა მთელს გურიას კაი ხანია მოსძოს ივ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ერნესტ რენანი და ტენისონი.—პარიჟის პანტეონი.—ზოლას წადილი.—კსავიე მარმიე.—„ველოსიპედისტების" კონგრესი.

თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოესალმა წუთი-სოფელს დასავლეთ ევროპის ორი წარჩინებული კაცი: გამოჩენილი მეცნიერი რენანი და შეუდარებელი პოეტი ლორდ ტენისონი. თუმცა მეცნიერება და პოეზია ერთმანეთს დაშორებული არიანო, ამბობენ, მაგრამ რენანი ერთსა და იმავე დროს პოეტიც იყო და მეცნიერიც.

ერთხელ, როცა რენანის სახელი უკვე ცნობილი იყო მთელს საფრანგეთში, რენანი ნეაპოლს მივიდა და ერთს სასტუმროში ჩამოხტა. საღამო ხანი იყო, რომ რენანის ოთახის კარი ვიღამაც დაარაკუნა. რენანმა კარი გააღო და დაინახა სასტუმროს მოსამსახურე ქალი. ქალი ეხვეწებოდა:

— „თქვენო ბრწყინვალებავ, ამ დღეებში საქველ-მოქმედო ლატარია უნდა მოხდეს და მირჩიე, რომელი ნომერი უნდა ვიყიდო, რომ მოგება მერგოს".

საქმე ის გახლდათ, რომ იტალიელს ქალს მრავალჯერ გაუგონია ეკლესიაში მღვდლების მიერ წარმოთქმული სახელი რენანისა და ასე უფიქრნია:

— თუ რენანი წმიდანია, რასაკვირველია ეცოდინება, რომელ ნომერს უნდა შეხვდეს ლატარიის მოგება, და თუ წაწყმენდილი და ეშმაკის კერძი კაცია, მაშინ ხომ, რაღა თქმა უნდა, უეჭველად დაწვრილებით ეცოდინება, რომელ ბილეთს შეხვდება მოგება და რომელს არაო.

რენანმა ბევრი იცინა ამ ახირებულის შემთხვევის გამო და ამბობდა ხოლმე: სამწუხაროდ, მდიდარი კაცი არა ვარ, თორემ იმ ქალს აუსრულებდი თხოვნასაო. უეჭველია, მაშინ ან გამაღმერთებდა და ან კიდევ თვით სატანას მიწოდებდაო.

**

რენანის პატივის მცემელთ განსვენებულის მეცნიერის გვამი პანტეონში დაასაფლავეს. რასაკვირველია, ეს დიდი პატივის ცემაა, მაგრამ... „ღმერთო ჩემო, სთქვა ჟიულ სიმონმა, მე არა მგონია, რომ პანტეონში განსვენება დიდად სასიამოვნო იყოს...

— იცით თქვენ, რა არის პანტეონი? პანტეონში რომ შეხვიდეთ, სრულებით არ შეუშურდებათ იქ დასაფლავებულთა სახელი და დიდება...

საუკუნო განსვენება დიდად უკეთესია საზოგადო სასაფლაოზედ. განსვენებულს საკუთარი ადგილი აქვს წმინდა ჰაერზედ, გარემო ხეხილებითა, მწვანით და ყვავილებითაა მორთული... ერთის სიტყვით, გარშემო სიცოცხლეს დუღს და გადმოდის. გამვლელ-გამომვლელნი განსვენებულის მატურსა სინჯავენ და ქვაზედ ამოჭრილს სახელსა და გვარსა კითხულობენ. სასაფლაოზედ განსვენებული მხოლოდ მიცვალებულია და არა დავიწყებული. მე მგონია, უკეთესი უნდა იყოს, როცა გამოჩენილის კაცის სამარე საზოგადო სასაფლაოზედ არის, იმ კაცთა შორის, რომელთაც უყვარდათ განსვენებული და დიდს პატივსაცა სცემდნენ.

რითი სჯობია პანტეონი საზოგადო სასაფლაოს? პანტეონში უშველებელი თაღებია გადაჭიმული, მუდამ ბნელა, და იდუმალი სიჩუმეა, ხანდახან უცხო ქვეყნელი თუ შევა ხოლმე პანტეონში დასაფლავებულთა სამარეთა დასათვალიერებლად, ისიც ფასი უნდა გადაიხადოს. მერე ვინ არის დასაფლავებული პანტეონში? რამდენიმე ყურ-მოჭრილი ყმა ნაპოლეონ პირველისა, ოთხიოდ, ან ხუთიოდ მართლა რომ გამოჩენილი კაცი და დანარჩენები-კი!.. ჟიულ სიმონმა უიმედობის ნიშნად ხელი დაიქნია...

**

რენანი გარდაიცვალა. პატიოსანი გვამი მისი პანტეონში განისვენებს. გაზეთებმა ლაპარაკი აუტეხეს შესახებ იმისა, თუ ვინ იქმნება მიღებული საფრანგეთის აკადემიის „ორმოც უკვდავთა" შორის. თითქმის ერთსა

ლებს, ბევრი ძალ-ღონე და ნივთიერი შეძლება მიიკრა და თან წაიღო ამ ბოროტების შეფერხების საქმემ, მაგრამ არ იქმნა და არა, არა გვეშველა-რა. რამდენიც დღე გადის, იმდენი უფრო ჰმატულობენ ბოროტ-მოქმედნი და ბოროტ-მოქმედება. არ იქმნა და არ მოიძებნა ბრძენი, რომელსაც შეეძლოს გურიისთვის განსაკუთრებულ თილისმის აღმოჩენა. ღონისძიებას ბევრს ასახელებენ და ხმარობენ, მაგრამ ვერც ერთმა გასაჭირს ვერ უშველა.

ამ ორონტრიალისა და გაჭირვების დროს მხოლოდ ერთად-ერთი კუნჭული გურიისა, მივარდნილი და მიკუნჩხული მთებში, სუფსის ვიწრო ხეობაში,—სურები იყო მოსვენებული. იგი არც სხვას რასმეს სტაცებდა და არც მტაცებელთ და ქვეყნის გამატყავებელ ავაზაკებს აძლევდა საფარულსა და ბინას. ამიტომ აქ ავაზაკობის ხსენებაც არ იყო. რასაკვირველია, აქ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ შინაური, დღისით ჩადენილი გაგლეჯა და გაფცქვნა ძლიერისაგან უძლურისა, დაბრიყვება ქვრივ-ობლისა, ხელ მარტო „ჩობანო“ სოფლის კაცისა სხვა-და-სხვა ძალის მქონეთა და სოფლის „თავიან კაცებისაგან“. ასეთი საქმეები სად არ არის დღეს? უქრთამ-უფეშქაშოდ რომ არაფერი საქმე არა თავდება, რომ სხვის ხელიდგან წაგლეჯა და გამოცინცვლა ჭკუა-მახვილობისა და ხერხიანობის სახელს შესძენს დღეს ადამიანს, სოფლად მაინც, ეს ხომ ეჭვს გარეშეა. ეს საზოგადო იარაა ჩვენის დღევანდელ ცხოვრებისა, რომელიც სავსეა ჩირქით, და ვინც მუწუკის გამომრწყობლად გვეგულება, ისინი კიდევ უფრო ამსივნებენ და ამტკივნებენ მუწუკის ადგილს.

სურებს მარტო ის ჰქონდა დასაქადებლად, რომ დღემდის აქ ფართო გზებზედ მძარცველნი ყაჩაღნი არა ჰყავდა, რის გამოც წმინდა სოფლის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ეხლა-კი სიწმინდეც გარდაიხოცა და პირიც გაიშავა საზიზღარის კაცისკვლით, რომელიც ამ დღეებში აქ მოხდა. ვერცხლის იოლად მაძიებლებმა დაჰღვარეს უმართლოდ მართალ კაცთა სისხლი, გაუჭეჭყეს გველივით თავი და დაჰყარეს ტყეში მგლებისა და დათვების არჩივად.

სურებლები და ახალციხელი მაჰმადიანი ქართველები ძალიან მახლობელი მეზობლები არიან ერთმანეთისა. შუაზედ უძევთ მარტო გურია-აჭარის მთა, რომელსაც ნახევარ დღეს გადაივლიან ხოლმე, აქვთ ურთიერთ შორის აღებ-მიცემობა და ხშირი მისვლა-მოსვლა ვაჭრობის გამო. ახალციხელები სურების გზით ჰრეკავენ გურიაში და ასაღებენ ოთხფეხ საქონელს. აი, ამას წინად სამმა სოფ. ღორთუბნის (ახალციხის მაზრის) მცხოვრებელმა გაჰყიდეს დაბა ჩოხატაურში მორეკილი საქონელი და სურების ხეობით მიემგზავრებოდნენ შინისაკენ. ღამე გაათიეს ს. ზემო-სურებში. მეორე დღეს დილით ძლიერ ადრე გზას გაუდგნენ. რა სოფელს გასცდნენ და ორიოდე ვერსი ტყით იარეს (გზა ტყე-ტყეა), დაუხვდათ კეტებით შეიარაღებული კაცები და ფული მოსთხოვეს. იმათ უარის თქმაზედ ავაზაკებმა არც აციეს, არც აცხელეს, დაუშინეს კეფაში კეტები და ერთს სული იქვე გაანთხევინეს, ხოლო მეორე სასიკვდილოდ დაბეჟილი დააგდეს და გაიქცნენ, რადგან ვიღაც მგზავრის მოახლოვება იგრძნეს. დარჩა ერთს ამხანაგს მოსავლელად და საჭირისუფლოდ „ულურს“ ტყეში ერთი მკვდარი და ერთიც სულთ მობრძავი. მეტი გზა აღარ იყო, დასტოვა ეს ორი უბედური ამხანაგი გზა-შარაზედ და თითონ გასწია თავისის სოფლისაკენ, წამოიყვანა მეზობლები და წაასვენეს ორი ადამიანი.

ფული ვერ წაურთმევიათ ავაზაკებს. ცხადია, რომ მკვლელნი შორეულნი არ უნდა იყვნენ. ეს ბოროტ-მომქმედნი შინიდგან იმ დილასვე არიან გამოსულნი „სანადიროდ“. გავარდნილ ყაჩაღებს აქ წილი არ უძევთ.

ამ მკვლელობის გამო არის გამოძიება ადგილობრივ, შარშან ახალწელიწადი ვიღაცამ სასოფლო კანცელარიის გადაწვით მოგვილოცა მთელს სურებს, რომელსაც ამის გამო ას თუმანზედ მეტი ზარალი მიეცა. ეს საქმე დღესაც გარბის, დღესაც არავინ იცის, ვინ იბოროტ-მოქმედა ასე უნამუსოდ.

დიაღ! გაჰქრა, წავიდა ამ ორ ღორთუბნელ გლეხის სიცოცხლე, ან ვის ასტკივა გული ვიღაც მესხთათვის? ერთად დიდი უბედურება ჩვენი ის არის, რომ ძმებს დავკარგვივართ, დავშორებივართ და ვიღაც სხვებს ვეძმობით. ქართველი მაჰმადიანი და გურული საზოგადოდ ერთმანეთის სისხლს ძლიერ ადვილად ჰღვრიან. თითქმის ამისათვის ღმერთიცა და ხალხიც მადლიერი დარჩებათ.

სურებელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ. „Н. О.“-ში დაბეჭდილია ფრიად სასიამოვნო წერილი, რომელიც შეეხება საზოგადოდ ჩვენს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას და აკაკი წერეთლის ლექსებს.

ამ წერილის ავტორი ა. ხ—ი სხვათა შორის ამბობს:

საქართველოს ისტორიასა, არქეოლოგიასა და ეტნოგრაფიას დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მეცნიერებმა; ხოლო საქართველოს სიტყვა-კაზმულს ლიტერატურას რაღაც უცნაურის მიზეზისა გამო აქამდე ყურადღებას არავინ აქცევდა. ბევრს მხოლოდ ისე მოუკრავს ყური, რომ ქართულს ენაზედ დაწერილია უკვდავი წიგნი შოთა რუსთაველისა „ვეფხის-ტყაოსანი“; რაც შეეხება საქართველოს აწინდელს ლიტერატურას, თითქმის არავინა სცდილობდა, გაეცნო რუსეთის განათლებულ საზოგადოებისათვის საქართველოს მწერალთა ზოგიერთი თხზულებანი. ჩვენის აზრით-კი, ეს თხზულებანი ღირსნი არიან, როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა, აგრეთვე რუსეთის ყურადღებისა. საჭირო იყო ეს საქმე ეტვირთნა ვისმე; და ორმა მწერალმა მოჰკიდა კიდეც ხელი თარგმნას საქართველოს საუკეთესო მწერალთა თხზულებისას. ეს მწერლები არიან: ი. ფ. ტხორჟევსკი და ვ. ლ. ველიჩკო. ბ-ნმა ტხორჟევსკიმ 1889 წელს დაჰბეჭდა რუსულს ენაზედ „კრებული ქართველ პოეტთა საუკეთესო ლექსებისა“. ეს კრებული რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმა დიდად მოიწონეს. მას აქეთ ბ-ნმა ტხორჟევსკიმ კიდევ გადასთარგმნა რუსულს ენაზედ რამდენიმე ლექსი ნ. ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა და სხ. ცოტა ხანს შემდეგ ქართველ პოეტთა თხზულებების თარგმნვას შეუდგა ვ. ლ. ველიჩკოც. ჯერ ქართული ხალხური სიმღერა „გორის ციხე“ გადასთარგმნა და დაჰბეჭდა გაზეთ „Нов. Время“-ში, ეს სიმღერა რუსებს ძლიერ მოეწონათ და ნოტებზედაც-კი გადაიღეს. ბ-ნმა ველიჩკომ გადასთარგმნა აგრეთვე აკაკის ლექსები „ამირანი“, „ღიმილი“, „ბულბული“ და სხვ. დასასრულ ველიჩკომვე გადასთარგმნა აკაკის დრამა „თამარ ცბიერი“. ეს დრამა საუცხოოდ არის გადათარგმნილი.

გარდა ამისა, ბ-ნმა ველიჩკომ დაჰბეჭდა ჟურნალ „Всемирная Иллюстрація“-ში წერილი აკაკის შესახებ. ბ-ნი ველიჩკო სხვათა შორის ამბობს:

წერეთელმა მით უფრო მოიხვეჭა ქართველთა შორის დიდი სახელი, რომ მისი ლექსი მარტივისა და ადვილად გასაგების ენით არის დაწერილი და, გარდა ამისა, მისი ლექსები შეეხება თანამემამულეთა ისტორიას.

დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ველიჩკო, რომელიც ასეთს ყურადღებას აქცევს ჩვენს მწერლობას და შრომას არა ჰზოგავს, გააცნოს იგი რუსეთის განათლებულს საზოგადოებას.

## რუსეთი

სხვა-და-სხვა მრეწველობა-წარმოებისა და ფინანსების შესასწავლად უმაღლესს მთავრობას განუზრახავს სახელმწიფო ხარჯით გაჰგზავნოს ამერიკაში რამდენიმე პროფესორი. „Русскія Вѣдом.“ სიტყვით, პროფესორს იანჟულს ჰგზავნიან მეურნეობისა და ფინანსების შესასწავლად, პროფესორს მენდელეევს შესასწავლად იმისა, თუ როგორ აწარმოებენ ამერიკელები საქიმიო საქმეს და განსაკუთრებით ხე-ტყის შემუშავებას, არტურ რაფალოვიჩს-კი—საბანკო საქმის შესასწავლად.

— იგივე გაზეთი ამბობს, ძლიერ მავნებელი და აწინდელ რუსეთის ხალხის ვითარების შეუფერებელ-შეუსაბამოა ის ახალი პროექტები, რომლებითაც მთავრობას თითქოს უნდა შემოსავალი მოიმატოს. ზოგ პროექტით, არაყს ვედრაზედ 30 კაპეიკი უნდა მიემატოს აქციზი, ლუდს ვედრაზედ—10 კაპეიკი, 5 კაპ. თამბაქოს გირვანქაზედ და ½ კაპეიკი—გირვანქა ნავთს. ვსთქვათ, რომ თითოეული ამ გარდასახადთაგანი დიდად სამძიმო არ არის ხალხისათვის, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ყოველ დღე და ყოველ საათს წვრილ-წვრილად ექვსექვს შაურობით და 5—10 კაპეიკობით ერთსა და იმავე ჯიბიდგან რომ იღოთ, მაშინ-კი ფული შესდგება და ასეთს ხარჯს ძნელად გაუძლებს რუსეთის, უმისოდაც გაღარიბებული ხალხი.

ამ გარდასახადების მომატება შეუძლებელად მიაჩნია გაზეთს. ინგლისის ერს, ამბობს გაზეთი, დიდი შემოსავალი აქვს, აგრეთვე შეერთებულ შტატებსაც. რუსეთზედ ეს არ ითქმის. აქ არც ხალხის სიმდიდრეა დიდი და არც თუ სახელმწიფო შემოსავალია ძლიერ ცოტა. დიდ გასავალს სახელმწიფოსას, გაზეთის აზრით, უფრო დიდი და უკეთესი წყარო უნდა მოეძებნოს, ვიდრე სხვა-და-სხვა გარდასახადის მომატებაა.

გაზეთი „Р. В.“-ი სამართლიანად ამბობს, რომ დრო არის რუსეთის სახელმწიფო გარდასახადების წესი და რიგი განხილულ იქმნას და სულ ერთიანად შეიცვალოს. აუცილებლად საჭიროა შემოსავლისა და ქონების კვალობაზედ გარდასახადის შემოღება, თორემ გაუწერელ გარდასახადების წვრილ-წვრილად მომატებით ბევრს ვერას გავხდებითო.

— იმავე გაზეთის სიტყვით, რუსეთის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის საზოგადოება საჯარო კრებას გაჰმართავს რუსეთის მწერლის ფონ-ვიზინის გარდაცვალების შემდეგ ასის წლის შესრულებისა გამო. ამ კრებაზედ წაიკითხავენ თავიანთ წერილებს ბ-ნნი ტიხონრავოვი და შენროვი.

— 4 ნოემბერს მოსკოვის იურიდიულ საზოგადოების სასტატისტიკო განყოფილების კრებაზედ ბ. სობოლევმა დიდად საინტერესო რეფერატი წაიკითხა. აი სათაური ამ რეფერატისა: „Ростовщическій кредитъ по даннымъ земско-статистической литературы“. კრებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. დამსწრეთა შორის იყო ლეიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ-შულცე-გევერნიცი, რომელსაც განზრახვა აქვს, რუსეთი კარგად შეისწავლოს.

—გაზ. „День“-ში დაბეჭდილია, რომ ფინანსთა სამინისტროს მმართველის განკარგულებით ყველა საბირჟო კრებაზედ მთავრობის წარმომადგენელნი უნდა დაესწრნენ ხოლმე, რათა ფულის პატრონთა თავ-აშვებული მოქმედება ბირჟაზედ ფულის ფასის ურიგო აწევ-დაწევისა გამო შეიზღუდოს და აილაგმოს. თუ ეს ამბავი მართალია, ძლიერ საჭირო ღონისძიებად ამიგვაჩნია

— პურის შესანახად სოფლად მაღაზიების გამართვის შესახებ დებულებას სახელმწიფო საბჭო წელსვე განიხილავს, ამ დებულების ძალით, 300 კომლ მოსახლეთ უეჭველად 1—2 სათადარიგო მაღაზია უნდა იქონიონ. შემდეგ ამ მაღაზიებიდგან სესხად გატანა შეიძლება მხოლოდ შენახულ პურის $^1/_5$-ისა, ხოლო საზოგადოების სათადარიგო თანხისა და ჰირნახულის მოსამატებლად ყოველ წლივ ეგრედ წოდებული საზოგადო მიწა უნდა მოიხნას და დაითესოს. ამისათვის სოფლის

---

და იმავე დროს გარდაიცვალა აკადემიის ორი წევრიც: კსავიე მარმიე და კამილ რუსე. სამი თავისუფალი ადგილია აკადემიაში!

რა თქმა უნდა, ემილ ზოლა პირველი დაიძახებს: მე მიმიღეთ აკადემიის წევრადაო. ზოლა ძლიერ მოწადინებულია „უკვდავებას“, თუმცა, საიდუმლოდ უნდა მოგახსენოთ, სულ პირველად ზოლამ იმითი გაითქვა სახელი საფრანგეთში, რომ ამ „ორმოც უკვდავთა“ აკადემიას ჰკიცხავდა და დასცინოდა.

სწორედ კარგი დროცა აქვს ეხლა ზოლას. ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა იმის რომანი „Debacle“. ეს რომანი შეეხება: საფრანგეთს, ფრანგ-პრუსიელთა ომს, სედანს, სისხლის ღვრას, პატრიოტობას... და ეს საგნები ხომ ღირს-საყურადღებოა... ზოლა ყველას გამოუჭედავს ეხლა ყურებს და თავს მოაბეზრებს: გინდათ, თუ არა, აკადემიის წევრად უნდა მიმიღოთო. აბა რა დასაწუნია „Debacle“-ის ავტორიო.

**

ქსავიე მარმიე ისეთი კაცი იყო, რომლის ღირსიც, იქნება, არც-კი იყოს ჩვენი საუკუნე. სიკვდილის დღემდე მარმიეს მხოლოდ ჭეშმარიტება და სიმართლე უყვარდა. მისი თხზულებანი განმსჭვალულია გულკეთილობითა და კაცთ-მოყვარეობით. ერთხელ, როცა 8 წლისა იყო, სახლიდგან გაიპარი, ვითომ უცხო ქვეყნები უნდა დაეთვალიერებინა. გზაში დაიღალა, მოშივდა კიდეც, მაგრამ სახლში დაბრუნებას არა ჰფიქრობდა. ამ დროს საიდგანღაც განჩდა ცხენოსანი ავსტრიელი აფიცერი.

— რას აკეთებ-აქა? შესძახა მრისხანედ აფიცერმა.

პატარა მარმიემ მოკრძალებით უპასუხა: „ვმოგზაურობო“. აფიცერმა ხმა აღარ გასცა, შემოისვა ცხენზედ და „მოგზაური“ მარმიე დედმამას მიჰგვარა.

თორმეტის წლის შემდეგ მარმიემ მთელი ევროპა შემოიარა: გერმანია, შვეცია, ნორვეგია და რუსეთი. ამ მოგზაურობის დროს მარმიეს რომ ავსტრიის მთელი ჯარი დახვედროდა, რასაკვირველია, სახლში ველარ დააბრუნებდა. მარმიე საფრანგეთის აკადემიაში ყველას უყვარდა, როგორც საუკეთესო და გულ-კეთილი კაცი. რამდენისამე წლის წინად მარმიე აკადემიის მუზეის უფროსად დანიშნეს. პირველისავე შემთხვევის დროს, როცა ახლად დანიშნულს უფროსს თავისი მოვალეობა უნდა აესრულებინა და რაღაც დანაშაულისთვის მუზეის ერთი მოსამსახურე დაეთხოვნა, მარმიემ სთქვა: „თუ უეჭველად საჭირო ყოფილა, რომ სამსახურში ჩემს ხელქვეითს ვავნო რამ, მაშ მე სრულიად არა მსურს სამსახურიო“ და, თუმცა ძლიერა სწუხდა ბიბლიოთეკის მოშორებას, მაინც თავი დაანება მუზეის უფროსობას.

**

სწორედ რომ კონგრესების სეზონი დადგა ყველგან. პარიჟის ბირჟის დარბაზში ამ ჟამად იყო კონგრესი საფრანგეთის „ველოსიპედისტებისა“... აი, ერთს „გორგოლაჭზედ“ რომ შეჯდებიან ხოლმე და ქუჩა-ქუჩა დასრიალებენ.

„დედა, რავა დასრიალობს ი დედა-გაგლეჯილი, სთქვა გურულმა, ტფილისში რომ ნახა ერთი „ველოსიპედისტი“: დადიანის მწევარი ვერ დაეწევა; რომ იყაბულოს, ჩემ ჯორს-კი გოუცვლიდი „სრიალოპედში“. კაია, თქვენმა მზემ, არც ჭამას მოგთხოვს მაგი და არც სმას. შეჯედი ზედ და ისრიალე შენთვის“.

დიაღ, იმას მოგახსენებდით, პარიჟში კრება გახლდათ ამ „ველოსიპედისტებისა“. კრებამ განიხილა სხვათა შორის შემდეგი: „ინგლისის „ველოსიპედისტების“ საზოგადოებამ დაადგინა, რომ ამ საზოგადოების წევრთ არ შეეძლოთ ფულისა და ან საჩუქრის გულისათვის დოღების გამართვაო“ ე. ი. ინგლისელ „ველოსიპედისტებს“ აკრძალული ჰქონიათ ფულის გულისათვის „გორგოლაჭით“ სრიალიაა პარიჟის კონგრესმა ეს საქმე განიხილა და დაადგინა: „ჩვენ უფლება არა გვაქვს საზოგადოების წევრთ ავუკრძალოთ დოღების გამართვაო“.

ძლიერ კარგად მოქცეულა კონგრესი. ყველა, როგორც შეუძლიან, ისე ჰშოულობს ფულს საცხოვრებლად: მე—კალმით, თქვენ—ხელობასამსახურით, ის კიდევ—გორგოლაჭის ასრიალებით. ვის რა დავა აქვს?!.

აბრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო საუკეთესო სახნავ-სათესი ადგილი უნდა იქმნას ამორჩეული.

## რენანი — მეცნიერი

ეხლა-ხან საფრანგეთმა დიდის წუხარებით და თავ-მოწონებით მიაბარა მიწას ერთი თავისი საუკეთესო შვილთაგანი.—ერნესტ რენანი. დეპუტატთა პალატის გარდაწყვეტილებით, მისი გვამი იქმნება დაცული პანთეონში, სხვა დიდებულ კაცთა საფლავებ შორის.

გავრცელდა რა ხმა რენანის გარდაცვალებისა, ყველა განათლებულ ერთა ჟურნალ-გაზეთებმა დაჰბეჭდეს მის შესახებ საბიოგრაფიო ცნობანი და დააფასეს შეძლებისამებრ განსაკუთრებულნი თვისებანი მისის ნიჭისა და მნიშვნელობა მისი მეცნიერებისათვის. აუარებელ წერილთა შორის, რომელნიც რენანს უძღვნეს, ღირს-შესანიშნავია უფრო ნეკროლოგი, დაბეჭდილი The Contem Parary Review-ში პროფესორის Colleg de frans, G. Monod-ისა· ამ წერილში მოკლედ, მაგრამ ძალიან თვალ-საჩინოდ არის დასურათებული ზნეობრივი და გონებრივი ფიზიონომია რენანისა და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.

იმაზედ უმარტივესი არა არის რა, ამბობს მონო,—როგორიც იყო ცხოვრება რენანისა. სწავლა, დაკვირვება, კვლევა და სიამოვნება ოჯახობაში—აი ყოველ დღიური ცხოვრება რენანისა.

გასართობად სჯერდებოდა ხან მოკლე მოგზაურობას და მეგობართა შორის დროს გატარებას. იშვიათად სალონებშიაც დაესწრებოდა ხოლმე. გუნება მთელი ჰქონდა, მშვიდი, მხიარული; სიცოცხლე უყვარდა, სწამდა უკეთესი მერმისი ქვეყნიერობისა. მხიარული გუნება და აზრი იმისი შედეგი იყო, რომ რენანი დიდის ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს ცხოვრებისა და მეცნიერების უეჭველს წარმატებას. რენანის აზრით, სიცოცხლე ჰღირს იმათ, რომ კაცმა იცოცხლოს. ის ეტრფიალებოდა არა მარტო აწმყოს, თანამედროვე ცხოვრებას, უყვარდა გულით წარსულიცა და მომავალის სურათებიც. ცხოველ-მყოფელს ჭკუასა და მდიდარს ოცნებასთან რენანს ჰქონდა მგრძნობიარე და კეთილშობილი გული. იშვიათად შეჰხვდებით ისეთს კეთილ-მოსურნე და მორჩილს კაცს, როგორიც რენანი იყო. ამასთან დიდად კეთილ-სინიდისიერად ასრულებდა თავისს საზოგადოებურს და კერძო მოვალეობას. რამდენსამე წელიწადს რენანი ავადმყოფობდა და ბევრს იტანჯა; გარნა თავის დღეში არ იკადრებდა, რომ დაპირებული არ შეესრულებინა და ავადმყოფობისთვის დაებრალებინა. მეტადრე ამას ნათლად ამტკიცებენ უკანასკნელნი წელნი მისის ცხოვრებისა. იანვრიდამვე იცოდა, რომ იმედი სიცოცხლისა დაიკარგა; მაგრამ რენანის ნატვრა მხოლოდ ის იყო, რომ დასცალებოდა თავისის ლექციების კურსისა და ზოგიერთ დაწყებულ ნაწერების დამთავრება. სიკვდილის დღეს კიდევ შერჩა მამაცობა და სთხოვა ცოლს, დაეწერა მისის სიტყვებით რამდენიმე ფურცელი არაბეთის ხუროთ მოძღვრობის შესახების თხზულებისათვის.

რენანს დიდად უხაროდა, რომ ამდენს ხანს ვიცოცხლე, მივაღწიე სამოც და-ათს წლამდეო. ეს ხანი უნდა ითვლებოდეს ნორმალურ წლოვანებად იმ კაცისათვისაო, რომელმაც თავისი თავი მეცნიერებასა და ლიტერატურას შესწირაო. ერთი უკანასკნელი მისი სიტყვა იყო: „მივანდოთ თავი ჩვენი ბუნების კანონთ, რომელთა ერთ უცნაურ ფენომენად ჩვენც უნდა ვითვლებოდეთო“.

ასეთი იყო რენანი, როგორც კაცი, ეხლა დავასახელოთ მიზეზი იმისი, თუ რად მოეფინა რენანის სახელი მთელს ქვეყანას, რა განსაკუთრებულნი თვისებანი ჰქონდა მის ჭკუა-გონებას და რა ღვაწლი მიუძღვის რენანს მეცნიერების წინაშე.

რენანი იყო დიდი ოსტატი კალმისა—ამაში ეჭვი არავის შემოაქვს, ეს ყველასათვის ცხადია. იგი იყო უდიდესი მწერალი მე-19 საუკუნისა და ერთი იმ გენიოსთა მწერალთაგანი, რომელნიც-კი ჰყოლია როდისმე საფრანგეთს. ენა მისი ერთ გვარად მარტივი და ორიგინალურია, ერთ გვარად მდიდარი, ტკბილი, წყლიანი, რის შესახებაც უნდა სწერდეს, დაბადება იქნება, თუ საბერძნეთის და რომის კლასიკები, ანუ საფრანგეთის ავტორები. რენანი იმიტომ სდგას ყველა თანამედროვე მწერალთა სათავეში, რომ, თუ ნიჭი მათებრივი აქვს, მათზედ გაცილებით მარტივად და ტკბილად სწერს. ამასთან შედარებით ლამარტინი მრავალ-სიტყვოვანი გვეჩვენებათ, ვიქტორ ჰიუგო—მკვეთრი მაგრამ მოსაწყენი.

ნამდვილი ტრიუმფი რენანის სტილისა-კი ის არის, რომ არასოდეს არა ყოფილა სტილისტი. ის არ იტკივებდა თავს მარტო ფორმისათვის. ფორმას იმდენად აფასებდა, რამდენადაც-კი მის შემწეობით შესაძლოა უფრო სავსებით, მკვიოდ გამოითქვას აზრი. „ფორმაო, იტყოდა, არის სხეული, რომელიც აძლევს სიცოცხლეს აზრსა და სურათს“. იმისი მარტივი სტილი იყო უტყუარი სარკე მისის მარტივის ზნე-ხასიათისა. სიმძლავრე და ელვარება მისის ენისა შედეგი იყო რენანის დიდის ცოდნისა და ფრთა-შესხმულის ოცნებისა.

ახალ-ახლების აღმოჩენით მეცნიერების წარმატებაში რენანს თითქმის წილი არ უდევს. არც ფილოსოფიაში, არც არქეოლოგიაში, არც ეკზეგეტიკაში არა აღმოუჩენია-რა ისეთი, რაც ახალს სხივსა ჰფენდეს მეცნიერებას და ახალს გზას უკვლევდეს წარმატებისათვის. ნაცვლად ამისა, არ არის კაცი, რომელსაც ისე სავსებით, ისე ზედმიწევნით სცოდნოდა თითქმის ყველა სამეცნიერო საგანი, როგორც რენანმა იცოდა. ფილოლოგია, ლიტერატურა, თეოლოგია, ფილოსოფია, არქეოლოგია,—არც ერთი არ იყო მისთვის უცხო. დიდი ცოდნა ჰქონდა წარსულისა. მასთან მისებრი განმახორციელებელი და სულის ჩამდგმელი წარსულის ამბებისა იშვიათია; ამიტომ რენანი იყო შეუდარებელი ისტორიკოსი. ეს არის მისი სახელი და დიდება. გარდა ამისა, მან გააფართოვა საგანი ისტორიისა მით, რომ საჭიროდ სცნა სარწმუნოების ისტორიის კვლევა-ძიებაც ზედ ერთოდეს საისტორიო გამოკვლევასაო.

თუ რენანმა ვერა შეჰქმნა-რა მეცნიერებაში, ნაცვლად ამისა, ის ჰფენდა ცხოველ-მყოფელს სხივს აზრისას ყოველს საგანს, რომელსაც-კი შეეხებოდა: იქნებოდა იგი პოლიტიკა, მეცნიერება, თუ სარწმუნოება.

რენანსაო, ამბობს მონო, ადარებდნენ ვოლტერს, რადგან ვოლტერიც მისებრივ იყო შვილი თავის დროებისა; გარნა ვოლტერს არა ჰქონდა იმდენი სწავლა, აკლდა მისებრი თავისებურობა აზრისა და არა ჰქონდა მისებრ მომხიბლავი ენა. ადარებდნენ აგრეთვე გეტეს. მართლადაც, გეტე და რენანი ჰგვანან ერთმანერთს დიდის ჭკუა-გონებით, მაგრამ გეტეც, ავტორის სიტყვით, უკან ჩამორჩებოდა რენანს სწავლასა და მეცნიერებაში. ჩინეთი, ინდოეთი, ბერძენთა და ლათინთა ცხოვრება, საშუალო და ახალი საუკუნოები, მომავალი, სარწმუნოება, ფილოსოფიური სისტემები,—ყოველივე ეს ზედ-მიწევნით სავსებით იცოდა რენანმა და აი ეს აუარებელი ცოდნა გვამცნო და გვასწავლა ჩვენ ისე, რომ მის სიტყვას, მის ნათქვამს აღტაცებაში მოჰყავს კაცი.

## წვრილი ამბავი

ამერიკის ქალაქ მეფილოში წარსულ თთვეს ერთი ქალი—ანნა სვოლა მომრიგებელ-მოსამართლედ ამოურჩევიათ. ეს პირველი მაგალითია, რომ ქალისთვის მომრიგებელ-მოსამართლეს თანამდებობა მიეცეთ.

— ინგლისურ ჟურნალ „Strant Magasine“-ს დიდი ბედი სწვევია: ინგლისის დედოფალს ვიქტორიას წერის სურვილი აღძვრია თურმე და ამ ჟურნალში ერთი წერილი დაუბეჭდია. ამ წერილში დედოფალს აუწერია თავისი ტოკინები და სათამაშოები, რომლითაც ყმაწვილობისას ერთობოდა. ამ წერილის დაბეჭდვამ ჟურნალს დიდი-ძალი ხელის-მომწერი შესძინა. დედოფალმა აღუთქვა ჟურნალს, კიდევ ერთს წერილს მოგწერთ დასაბეჭდად იმის შესახებ, ინდოელთა ენა როგორ შევისწავლეთო.

— ამას წინად გრენლანდიას მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა ფილადელფიაში ლეიტენანტი პირი, სამეცნიერო აკადემიას მოახსენა: როგორც მე დაწვრილებით გამოვიკვლიე, გრენლანდიაში ძრიელ ადვილია რკინის გზის გამართვაო.

— აი რა ახირებული წამლობა გამოუგონია ამერიკაში ერთს ექიმს—ზინტენბერგს. ქ. ბრუკლინში ამ ექიმმა გამართა სამკურნალო, რომელსაც იმდენი ავადმყოფი მიაწყდა, რომ ერთის წლის განმავლობაში ეკროპიიდგან წასული ცარიელ-ტარიელი კაცი ძლიერ გამდიდრდა... ავადმყოფებს დილის 5 საათიდგან იღებს სამკურნალოში და იმდენი ხალხი მიდის ყოველ დღე, რომ ვერ ასწრობენ სუყველას გასინჯვასა და წამლობას. მერე რითი ჰკურნავს ავადმყოფთ ეს ექიმი?—უბრალო თივით. ავადმყოფებს, რითაც უნდა იყოს ავად, ტანისამოსს ხდიან, ცივს წყალს გადაასხამენ, მერე თივით გასწმენდენ და თივაშივე ჩააწვენენ ისე, რომ თავის მეტი მთელი სხეული თივაში ჰქონდეს გახვეული. ავადმყოფი 1—2 საათს ისე უნდა იყოს, მერე ტანისამოსს ჩააცმენ, რძესა და პურს აჭმევენ და გაისტუმრებენ. ახირებული წამლობა თუ გინდათ, აბა ეს არის!

— Massa-ს (იტალიაში) ოლქში პარლამენტის დეპუტატის ამორჩევის დროს შემდეგი ამბავი მოხდა: ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელმა—პრეფექტმა ნამეტანი ერთგულობა გამოიჩინა მთავრობისა და უნდოდა, რომ ხალხს უეჭველად მთავრობის მომხრე კაცი ამოერჩია დეპუტატად. მთავრობის „ოპოზიციის“ გაჯავრებულმა კანდიდატმა, ბ-ნმა Maffi-იმ უარი განაცხადა კანდიდატობაზედ. ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს მთავრობას და არც ერთმა არ მიიღო მონაწილეობა დეპუტატის არჩევანში! ვიღა ამოირჩიეს დეპუტატს?! მთავრობის ერთგული პრეფექტი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა...

— ქალაქ ელბერფელდში ერთი ახირებული საქმე გაარჩია სასამართლომ. ერთი მათხოვარი სამართალში მისცეს, კარდაკარ რად დაწანწალებო. საქმის გარჩევის დროს გლახამ აღიარა, ხუთი ფუთი დინამიტით სავსე მოვიპარე ამა და ამ საწყობიდგან და ამა და ამ ადგილას შევინახეო. გამომძიებმა აღმოაჩინა, რომ გლახამ ტყუილი სთქვა, არაფერი არ მოუპარა და განგებ იბრალებდა ქურდობასაო. ამ გლახას ქურდობა იმიტომ დაუბრალებია თავის თავისთვის, რომ ეგება გლახებისთვის გამართულ თავშესაფარში-კი არ გამგზავნონ, სადაც ძრიელ მოწყენილად ვიქნები, და ციხეში მივრან თავიო, იქ ათას ნაირ ავაზაკობის ჩამდენია დამწყვდეული და ბევრ გასართობ ამბავს შევიტყობო.

## ბიბლიოგრაფია

„გვირგვინი“ (ძველი სასულიერო მწერლობა. № 11, გამოც. მღვდ. ვ. კარბელაშვილისა).

ეს წიგნი აღიბეჭდა ამ დღეებში. მ. კარბელაშვილს უნდა სხვა ამისთანა წიგნები დაჰბეჭდოს კიდევ. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე მოთხრობა—სულ ყველა ზნეობისა და სათნოების შესახებ. წიგნის მკითხველი აშკარად დაინახავს ჩვენთა ძველთა ზნეობისა და სარწმუნოების სიმტკიცეს და აგრეთვე იმას, თუ ეხლანდელნი, არა თუ ერის კაცნი, არამედ თვით სასულიერონიც, რამდენად დაბლა სდგანან თავიანთ წინაპრებზედ.

აი მღვდელი ანასტასიოს. ერთ დღეს, დილა ადრიან, იგი ეხუმრება თავის ცოლს: „დედოფალო ჩემო, მე წარვალ ხვნად და შენ აღსდეგ და მოამზადე სახლი შენი, და მეცხრესა ჟამსა აღანთენ სანთელნი და განვედ მიგებებად მთავარეპისკოპოსისა ვასილისა, რომელი მოვალს სახლსა ჩვენსა განათლებად“. ქმარი წავიდა სახნავად. ცოლმან მოამზადა სახლი. ვასილი ეწვიათ. ცოლმან მიიღო დიდის პატივით. ამასობაში მღვდელიც დაბრუნდა მინდვრიდგან. ვასილმა იკითხა: „როგორა ხართო?“ მღვდელმა მიუგო: „ორი უღელი ხარი მყავს. ერთი უღლით მე ვხნავ და მეორით სასყიდლით დადგინებული ჩემი მუშაკიო. ერთი უღელი უცხოთათვის მომავალთა და მეორე სარგისათვისაო“. ამას კეთილად ასრულებო, უბრძანა წმიდამან: სხვა რა საქმეზე დგეხარო?“ მღვდელს ქოხში შემოფარებული ჰყავნდა ერთი გლახაკი—უძლური. ხოლო მღვდელს თავის სიმდაბლის გამო წმიდანისთვის არ ჰსურდა გაემხილა, რომ იგი მოღვაწეობდა ამ კაცისთვის. მაგრამ ბოლოს გამოაშკარავდა. მაშინ ვასილმა უთხრა მღვდელს: „კეთილად გიღვწიეს ამისთვის, ძმაო, გარნა მაცადე, რათა მეცა ვმსახურო მცირედ და მაქვნდეს შენთანა მადლი მაგისი“.

აი მეორე სურათი: გენადიოს პატრიარქი მიდიოდა წმიდა მოწამისა ანასტასიასთან და სიმრავლე ერისა მისდევდა და მიჰყვებოდა სანთლებითა და საკმევლითა. მათ შორის იყო ერთი მღვდელი—მარკიანე. ერთმა გლახაკმა ითხოვა მოწყალება. მარკიანე მიეფარა ადგილსა საიდუმლოსა, გაიძარცვა თვისი სამოსელი და მისცა გლახაკსა, თანახმად სჯულისა: „ყოველი, რომელნი გთხოვდეს შენ, მიეც და ნუ გარე მიიქცევი“. თითონ-კი ფილონით-ღა გაჰყვა პატრიარქს. ეს რომ გაიგო ერმა, დაიწყო ქება ამ მღვდლისა და „მიერიდგან საცნაურ იქმნა მრავალთა მიერ მოწყალებითა გლახაკთა ცხოვრება მისი“.

ენა წიგნისა კარბელაშვილს არ შეუცვლია და კარგიც უქმნია, რადგან ჩვენი ლიტერატურულის ენის გამდიდრება შეიძლება, მხოლოდ ამ გვარის ძველის ნაშთების აღბეჭდვით შეიძლება, ძველს მწერლობაში ჰმარხია ბევრი საუნჯე ენისა და სასურველია, რომ ეს საუნჯენი გამოცხადდეს.

ე—მ

## გასართობი

ამ ბოლო დროს ბევრი ფინანსისტი გაჩნდა... ვინც არა მგონია, ახალის გარდასახადის შემოღებას ურჩევს ფინანსთა სამინისტროს. აი ზოგიერთი ჩემი მოსაზრებანიც:

პურს ბაჟი დავადოთ. განა არ შეიძლება, ფქვილით სავსე ტომარას ბანდეროლი შემოვკრათ? შაქარი, მარილი, ღვინო, ყველა ეს ბანდეროლით გაიყიდოს. წყალი? ურიგო არ იქნება, წყალსაც ბაჟი დავადოთ, იმ ქალაქებში მაინც, სადაც წყლის მილებია გამართული. ჰაერი? ჰაერსაც დავადოთ ბაჟი... მაგრამ არა, ეს, ცოტა არ იყოს, ძნელი მოსახერხებელია.

სამაგიეროდ შეიძლება ბაჟი დაედოს აფთიაქის წამლებს. მართლაც-და, გსთქვათ ძლიერ ავად ხართ, მკურნალმა წამალი დაგიწერათ. ეს წამალი აფთიაქში 2 მანეთი ჰღირს, ვითომ რა დიდი ამბავი იქნება, რომ 2 მანეთის მაგიერად 2 მანეთი და 10 კაპეიკი გადიხადოთ. ჩვენს აფთიაქებში ისე ძვირად ჰყიდიან წამლებს, რომ 10 კაპეიკის მომატება რაღა ანგარიშში ჩასაგდები იქნება?

ურიგო არ იქნება, ბაჟი დავადოთ აგრეთვე ცხოველებსაც: ვისაც ცხენი ჰყავს, წელიწადში 3 მანეთი გადიხადოს, ძაღლზედ—2 მანეთი, კატაზედ—1 მან., ქათამზედ—50 კაპეიკი, წყალ ზღვინჯოზედ—1 კაპ. და სხ. და სხ.

ვისაც ფეხის თითებზედ „მაზოლები“ აქვს, თითოზედ წელიწადში 1 მან. და 35 კაპ. გადიხადოს.

ვინც ცოლს არ ირთავს, წელიწადში 25 მანათი გადიხადოს (რას დაეხეტება უცოლშვილოდ?!), ცოლშვილიანმა—წელიწადში 10 მან. (ვინ გხვეწებოდა, დაცოლშვილდიო?), ქვრივმა ქალებმა—100 მან. გადიხადონ. (რადა?—ხათრისთვის).

მერე, ხომ ყველანი გავგლახავდებით და კარის კარ ვიაროთ მათხოვრად? მით უკეთესი. მათხოვრებსაც წელიწადში ერთი თუმანი გადასახადი გამოვართვათ.

???

## წერილი რედაქციის მიმართ

. რწმუნებულს ჩემდამი ქვემო-სურების სასოფლო სკოლას შემოსწირა ერთმა მშვენიერი მაცხოვრის ხატი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ-

მა ბ-ნმა ო. ს. ბეგზადოვმა; იმავე სასწავლებლის წიგნთ-საცავს შემოსწირეს წიგნები კაზ. ტრაპაიძემ 10 ცალი „საემაწვილო ბიბლიოთეკა“, იოსკლი ივ. რამიშვილმა 1 ცალი „ისტორიული ნარკვევი“ და კოსტ. თავართქილაძემ 10 ცალი „იოანე გუსი“.

გულითადს მადლობას ვუძღვი ყველა ამ პატივცემულ შემომწირველთ.

ქვემო-სურების სასოფლო სკოლის მასწ. ის. რამიშვილი

# დეპეშა

12 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტროს გამგეობას ნება მიეცა წელს იყიდოს საზღვარ-გარედ 'მაქარი სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზედ გასასყიდად.

„Бирж. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭო ამ დღეებში განიხილავს პროექტს გასაწერ გადასახადის მომატებისას $25^0/_0$-ით სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათათვის 1893 წლის განმავლობაში. ამას გარდა, საჭიროდ სცნობენ 1885 წლის 15 იანვრის კანონი ამოქმედონ იმ სამრეწველო საქმეთა შესახებ, რომელნიც აქციზს იხდიან, და აგრეთვე $5^0/_0$-მდე მოუმატონ გარდასახადი სააქციონერო საზოგადოებათა და კამპანიათ.

სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი სადამოქნო ბაჟის მომატებისა ბამბისათვის. პროექტს განიხილავენ მომავალს კვირას.

„Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს, რომ მართალია გენერალ ვირდერის დანიშვნა გერმანიის ელჩად რუსეთშიო და რომ, რამდენადაც გულ-წრფელად და ერთი-სამად უხარიანთ ჩვენში ამ ახალის კაცის დანიშვნა, იმდენადვე სწუხან გენერალ შვეინაცის სამსახურიდგან გადადგომის გამოვო.

**ბუფონი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გაემგზავრა ფოლქეტონს.

**პარიჟი.** პალატამ გაათავა არჩევა კომისიისა პანამის საქმის გამოსაძიებლად.

ვაჭრობის მინისტრმა მიიღო დელეგაცია ვაჭართაგან. დელეგაციამ სთხოვა მინისტრს, რომ მთავრობა ეცადოს და მოახერხოს რამე, რათა რუსეთმა უფრო მეტი მფარველობა გაუწიოს საფრანგეთის ქარხნების მარკებს და შეამციროს ბაჟი ზოგიერთ იქ გასაყიდ ჩვენებურ სავაჭროსიო.

**ლონდონი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული ვინძორს მიბრძანდნენ დედოფალ ვიქტორიის დარბაზობით სანახავად. მათ მიეგებნენ პრინცი და პრინცესა ბატენბერგისა. სადგურის კარიბჭე დარაჯი რკინის გზის სადგურზედ იყო გვარდიის გრენადერთა პოლკისაგან, მუსიკითურთ. შაბათს მათნი უმაღლესობანი წაბრძანდებიან ედინბურგის ჰერცოგისა და ჰერცოგინას სანახავად.

## პეტერბურგის ბირჟა, 10 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,09 | 8,12 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $161^3/_4$ | $162^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,09 | — ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . | — ,, | — ,, | $241^1/_4$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219^1/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $190^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| $6^0/_0$. . . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . . | — ,, | — ,, | 99,62 |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$. | 102 | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97^3/_4$ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

ფოთიდგ გადისან:

პარასკეობით: ნაშუადღევს ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ათ საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | | „ | „ | „ |
| „ „ 2 | | | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | | „ | „ | „ |
| „ „ „ 2 | | „ | „ | „ |
| „ „ „ 3 | | „ | „ | „ |
| ჯვარის მამის პორის ლავაში. | | | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | | | კ. |
| მე-2 „ „ „ | | „ | | . |
| მე-3 „ „ „ | | „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | 6 | „ |
| „ „ 2 | | „ | | „ |
| სუკი — — — | | | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | | | 7 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. | | | | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | | | , |

# განცხადებანი

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიას გარდაეცა გასასყიდად ამხანაგობის მიერ გამოცემული

ილ. ჭავჭავაძის

თხზულებათა

მე-IV ტომი

ამ ტომში მოთავსებულია

„ ო ტ ა “

რომანი ბუეიესი

ფასი 1 მ. 60 კ., სოლო კარგ ქაღალდზედ, ყდით 2 მ. 50 კ.

—

იქვე ისყიდება

კედლის კალენდარი

**1893 წლ.**

ფასი 40 კაპ.

—

„რანი ვიყავით გუშინ?“

ისტორიული წერილი იაკ. გოგებაშვილისა

ფასი 20 კაპ.

(4—2)

---

კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—138)

---

გამოცდილი რეპეტიტორი

ამზადებს

პირველ დაწყებით სასწავლებლისა და პროგიმნაზიის ყველა კლასის შეგირდებს

დილის 8—10 საათამდე და ნაშუადღევის 3—8 საათამდე.

ადრესი: „ივერიის“ რედაქციაში.

---

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში რკინის გზის სადგურზედ გამომცემელ ხეთერელთან, ტფილისში „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიებში და აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიაში ლეგენდა ლექსად ვ. ცახელისა:

**ზარნაშო.**

ფასი სამი შაური.

(4—4)

---

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

---

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

## „უნივერსალი სააგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-$^0/_0$-იან მომგებისბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება $5^0/_0$-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი $10^0/_0$ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თვე-და-თვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—13) აგენტი დ. ქ. თუთაევი

---

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—17) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

---

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრების სნეულებას, ნევრების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № $^9/_2$, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Ноября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.